ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6473602

ნომერი: AR1966785

თარიღი : 17.05.2023

გაცემის თარიღი : 24.05.2023

გაცნობის თარიღი : 24.05.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N7ბ, კორპუსი N1, კორპუსი N2, კორპუსი N3, კორპუსი N4.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ გორგასანიძე პ/ნ 01024072863
- თბილისი ა.პოლიტკოვსკაიას ქ. N 3 კორ. 6 ბ. 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 17 მაისს №AR1966785 განცხადებით მომართა თამარ გორგასანიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 18 ოქტომბრის №2894345 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ოქტომბრის №2894345 ბრძანებით №01.16.02.038.077 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სექტორი 2, "ე-2" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 18 ოქტომბრიდან 2017 წლის 18 მარტის ჩათვლით.
სამსახურის 2016 წლის 20 ოქტომბრის №2899997 ბრძანებით საკადასტრო კოდთან, ხოლო სამსახურის 2016 წლის 02 დეკემბრის №2975769 ბრძანებით ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 18 ოქტომბრის №2894345 ბრძანებაში.
სამსახურის 2016 წლის 09 ნოემბრის №2943680 ბრძანებით დადასტურდა №01.16.02.038.077 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 04 ნოემბრის №ბ-386207/07 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 21 ნოემბრის №ბ-412093/07 ბრძანებით ზემოაღნიშნული მშენებლობადამთავრებული ობიექტი მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 18 ოქტომბრის №2894345 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკურ შეცდომა. კერძოდ, სარდაფის ფართობი 187.4 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 85.2 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 1373.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1475.4 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილ -3.00 ნიშნულის გეგმაზე შეცვლილია გეგმარება. კერძოდ, გაუქმებულია „D-C“ ღერძებში არსებული სარდაფის ფართები და შესაბამისად, გაზრდილია ავტოსადგომის ფართობი. აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას. გეგმარების ცვლილება საჭიროებს რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის მიღებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, -3.00 ნიშნულის გეგმაზე მოთხოვნილია გეგმარების ცვლილება და აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს, სამსახური მოკლებულია ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.